იოსებ ემინი (Joseph (Hovsep) Emin, 1726-1809) - სომეხი პოლიტიკური მოღვაწე და მოგზაური, რომელსაც ეკუთვნის ავტობიოგრაფიული ნაშრომი: „იოსებ ემინის ცხოვრება და თავგადასავლები“ (1792).[1] 1760-იან წლებში განვითარებული პოლიტიკური მნიშვნელობის მოვლენების გარდა, რომლებიც პირდაპირ თუ ირიბად იყვნენ კავშირში ქართველ და სომეხ ხალხებთან, ემინის ავტობიოგრაფიული ნაშრომის არაერთი მონაკვეთი ეთმობა სომეხი და ქართველი, ასევე, სხვა კავკასიელი ხალხების სოციალური, პოლიტიკური, კულტურული და ეკონომიკური ხასიათის ცნობებს. მეტიც, ზოგიერთ შემთხვევაში ავტორი განსაკუთრებულ ყურადღებას სწორედ ამ ხალხების ყოველდღიურობაზე ამახვილებს, რა დროსაც იგი მათ ტრადიციებთან, წეს-ჩვეულებებთან, რწმენასთან და სხვა ნიშანდობლივ მახასიათებლებთან დაკავშირებულ საკითხებს აღწერს.

საქართველოს შესახებ:

“The country is one of the richest upon earth and produces two very valuable articles of commerce, silk and cotton. As for eatables and grains of all kinds, no country is so plentifully supplied with them; and great part of the people perhaps have hardly tasted water, for wine is their common drink; they have good meat and all sort of grain and honey in abundance: So that, with a little European management, that country may flourish and be happy, without being obliged to depend upon any other nation; when in the meantime, the Armenians will join with a good will to expel, as they easily may, the Mahomedans out of their country.”

„ქვეყანა [ქართლ-კახეთს სამეფო/აღმოსავლეთ საქართველო] ერთ-ერთი უმდიდრესია დედამიწაზე და აწარმოებს ორ ძალიან ღირებულ სავაჭრო პროდუქტს, აბრეშუმს და ბამბას. ხოლო რაც შეეხება საკვებს და ყველა სახის მარცვლეულს, არც ერთი ქვეყანა არ არის ასეთი უხვი; და, ხალხის დიდ ნაწილს,

[1] Joseph Emin, Life and Adventures of Emin Joseph Emin (Calcutta: Baptist mission press, 1918).

ალბათ, წყალი არც კი გაუსინჯავს, რადგან ღვინო მათი ძირითადი სასმელია. მათ უხვად აქვთ კარგი ხორცი, ყველა სახის მარცვლეული და თაფლი. ამდენად, მცირე ევროპული ყაიდის ორგანიზებით, ეს ქვეყანა შეძლებს აყვავდეს და იყოს ბედნიერი და არც სხვა ერზე იყოს რაიმე სახით დამოკიდებული. ამასობაში, მათ სომხებიც შეურთდებიან, რათა იოლად განდევნონ მუსლიმები [იგულისხმება ოსმალო და ირანელი დამპყრობლები] თავიანთი ქვეყნიდან.“

მთარგმნელი გ. ფერაძე

ქვეყნდება პირველად



THE

L I F E

AND

A D V E N T U R E S

OF

J O S E P H É M Ï N,

AN ARMENIAN.

WRITTEN IN ENGLISH BY HIMSELF.

LONDON:

PRINTED IN THE YEAR 1792.